ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

2023-2024 სასწავლო წელი

(გაზაფხულის სემესტრი)

მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარდა მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა. გამოკითხვა მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული თანამშრომლების საჭიროებების გამოვლენას, მათ შორის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციული თანამშრომლების 50%-მა. გამოკითხვა იყო ანონიმური.

გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა, რომ მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალის უმრავლესობას საქმიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია სახელფასო პოლიტიკა (80%), ადეკვატური სამუშაო პირობები (60%) და საინტერესო სამუშაო (50%).

პროფესიული განვითარებისათვის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი საჭიროებები: e-დოკუმენტის ბაზაში მუშაობა, ექსელის ცხრილში მუშაობა, ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესება. მისაღებია, რომ პროფესიული განვითარება ჩატარდეს ტრენინგების სახით, კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების გზით, მოწვეული

უცხოელი ექსპერტის მიერ ორგანიზებული კურსის სახით, უპგ განვითარების ცენტრის მიერ. ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და ტრენინგებში მონაწილეობა, უნივერსიტეტის მიერ ე.წ. team building-ის უზრუნველყოფა

რაც შეეხება სხვა საჭიროებებს, რომლის დაფიქსირება შესაძლებელი იყო კითხვარში, გამოიკვეთა ფაკულტეტის შენობის ინფრასტრუქტურის, სამუშაო პირობების და ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგების გაუმჯობესების საკითხი. საკმაოდ პოზიტიურად შეფასდა ბარათების დროებით მოხსნის გამოცდილება - გაიზარდა განცდა, რომ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებით ცდილობ დავალებების მაღალი ხარისხით შესრულებას და ფაკულტეტის განვითარებაში კონტრიბუციის შეტანას.

გამოკითხვის შედეგები მიეწოდათ დეკანს და დეკანის მოადგილეს. დაიგეგმა ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი ტრენინგების ორგანიზება და ინფრასტრუქტურის, სამუშაო პირობების და ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგების გაუმჯობესების მოთხოვნაზე ცენტრალური ადმინისტრაციის ინფორმირება.